

ქართველურ ენათა ანდაზების ლექსიკურ-თემატური მახასიათებლები

გიორგი ჯღარკავა

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასისტენტი

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

ანდაზების ლექსიკურ-თემატური მახასიათებლები და მათზე დაკვირვება მრავალმხრივ საყურადღებოა, რადგან იგი, ერთი მხრივ, კარგად წარმოაჩენს ადამიანთა ყოფას, საქმიანობასა და ისტორიას, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტული ლექსემის სტრუქტურულ-შინაარსობრივმა მხარემ შეიძლება გვიკარნახოს ანდაზის წარმოშობის / გავრცელების ადგილიც. ქართველური ენების ანდაზებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური ლექსიკური მონაცემების გვერდით, ცალკეულ ენათა (მეგრულ, ლაზურ ან სვანურ) ანდაზებში დასტურდება კულტურული ელემენტებით მკვეთრად მარკირებული სპეციფიკური ლექსიკური ერთეულები, რომლებიც წარმოაჩენენ კონკრეტული ენობრივი კოლექტივისთვის ნიშანდობლივ კულტურულ, გეოგრაფიულ თუ სხვა ლოკაციურ თავისებურებებს. ანდაზებში შეიძლება შეგვხვდეს დღეისათვის მოძველებული, საგანგებო განმარტების გარეშე გაუგებარი სიტყვებიც. სტატიის მიზანია ქართველურ ენათა ანდაზებში არსებული უნივერსალურ ლექსიკურ-თემატურ მონაცემებთან ერთად, რომელიმე კუთხისთვის დამახასიათებელი ორიგინალურობით აღბეჭდილი პარემიული ერთეულების ძირითადი ჯგუფების გამოვლენა. ნაშრომში აგრეთვე განხილულია ანდაზები, რომლებშიც წარმოდგენილია ნაკლებად გასაგები, პასიური გამოყენების ლექსიკური ერთეულები.

საკვანძო სიტყვები: ქართველური ენები, პარემიოლოგია, ანდაზების ლექსიკა, ანდაზების თემატიკა

ქართველურ ენათა ანდაზების ლექსიკურ-თემატური მახასიათებლები

გიორგი ჯღარკავა

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასისტენტი

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შესავალი

ანდაზების ლექსიკის შესწავლასა და არსებული თემატური ველების დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ხალხის ყოფის, საქმიანობის, ისტორიის გამოსავლენად, რომლის წიაღშიც ეს პარემიული ერთეულები ოდესღაც შეიქმნა და დღესაც ფუნქციონირებს. ანდაზების ლექსიკური ფონდი მაქსიმალურადაა დაახლოებული ყოველდღიურ მეტყველებასთან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პარემიების ხალხურობას. ანდაზის სოციალური ხასიათი დიდწილად განაპირობებს იმასაც, რომ კონკრეტული სიტყვის ფორმამ და შინაარსმა შეიძლება მიანიშნოს ანდაზის წარმოშობის და/ან გავრცელების ადგილზე. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა პარემიებში დადასტურებული დიალექტური ერთეულები. ამასთან, ანდაზებში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს დღეისათვის მოძველებული, საგანგებო განმარტების გარეშე გაუგებარი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი¹. ის ფაქტი, რომ ანდაზის ენაში დასტურდება საკმაოდ მრავალფეროვანი, თავისებური და საინტერესო ლექსიკა, სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული. სხვა ქართველური ენების ანდაზებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური ლექსიკური მონაცემების გვერდით (როგორცაა ფრინველთა და ცხოველთა, მცენარეთა, ადამიანთა სახელები და ა.შ.), ცალკეულ ენათა, მაგ., მეგრულ, ლაზურ ან სვანურ ანდაზებში გვხვდება კულტურული ელემენტებით მკვეთრად მარკირებული სპეციფიკური ლექსიკური ერთეულებიც (ანთროპონიმები, ტოპონიმები, ჰიდრონიმები და სხვ.), რომლებიც, პირველ რიგში, ემსახურება კონკრეტული ენობრივი კოლექტივისთვის ნიშანდობლივი კულტურული, გეოგრაფიული თუ სხვა ლოკაციური თავისებურებების წარმოჩენას.

ნაშრომის მიზანია ქართველურ ენათა ანდაზებში არსებული, უნივერსალურ ლექსიკურ-თემატურ მონაცემებთან ერთად, რომელიმე კუთხისთვის დამახასიათებელი, სხვათაგან გარკვეული ნიშნით განსხვავებული, ორიგინალურობით აღბეჭდილი პარემიული ერთეულების ძირითადი ჯგუფების გამოვლენა. ნაშრომში, აგრეთვე, განხილულია ანდაზები, რომლებშიც წარმოდგენილია ერთი ან რამდენიმე მოძველებული და ნაკლებად გასაგები, პასიური გამოყენების ლექსიკური ერთეული. მათი პოვნის მიზანია ანდაზის შინაარსს ზოგჯერ აბუნდოვანებს და საჭირო ხდება დამატებით ახსნა-განმარტება, თუმცა ხშირ შემთხვევაში პარემიით გამოხატული აზრი მეტ-ნაკლებად გასაგებია და ანდაზა მაინც აღწევს თავის მიზანს.

მასალის ანალიზი

ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში ლექსიკური თვალსაზრისით შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე თემატური ჯგუფი. მათ შორის ხშირია ოჯახის ძირითად და შემომატებულ წევრთა (დედმამიშვილების, მშობლების, შვილის, სიძის, რძალ-დედამთილის და სხვ.) შესახებ ან მათ შორის ურთიერთობის ამსახველი ანდაზები.

ნიმუშად მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

ქართული:

(1) დედინაცვალი თვალში ნაცარიო (ჯორჯანელი, 2003);

¹ ქართული ანდაზების ლექსიკურ თავისებურებებზე თავის ნაშრომში საგანგებოდ მსჯელობს ლ. ლეჟავა (ლეჟავა, 1959).

- (2) ერთიმეორის ცქერით ძმებს სახლი დაეწვათო (იქვე);
- (3) ინდიშვილი, მინდიშვილი, რაც დედ-მამა, იგივე შვილი (იქვე);
- (4) პაპას შვილიშვილი ძველ დროს ასწავლიდაო (იქვე);
- (5) რძალო, დედამთილი გიჩივისო, – რას მიჩივის ის სულძაღლიო, – აი, სწორედ მაგასაო (იქვე);
- (5) სიძემა თქვა: ჩემი თოხი მომიტანეთო (იქვე).

მეგრული:

- (6) ბაბუს დო მოთას ართ ჭკუა უღუნია „ბაბუასა და შვილიშვილს ერთი ჭკუა აქვსო“ (შეროზია & მემიშიძი, 1994);
- (7) და ჯიმაში სინწარეს გეგენსგნი, თექ დოლო ვეფალუნცია „სადაც და ძმის სიკვდილს გაიგონებს, იმ ადგილას ბალახი არ ამოვაო“ (იქვე);
- (8) დიანთიქ ნოსა იმოწმუა დო ნოსაქ მუშ დუღია „დედამთილმა რძალი იმოწმა და რძალმა თავისი თავიო“ (იქვე);
- (9) დიდას ქაფუნია ნასხაპა და სქუათ ქოსხაპუნსია „დედას თუ უცეკვია, შვილიც იცეკვებსო“ (იქვე).

ლაზური:

- (10) ჯუმაკალა მწკუფისთი კაი გოძღენ. „ძმასთან ერთად სიბნელეშიც კარგად ივლი“ (შეროზია & მემიშიძი, 1994);
- (11) პაპული დო ნანდიდიში რდელი ბერე ელამცქვერი იყვენ. „ბაბუისა და ბებუის გაზრდილი ბავშვი განებვირებული იქნება“ (იქვე);
- (12) მწკუფი სეის თუთა უნონ, სეძილი ქომოლის ღნოსაი ოხორჯა უნონ. „წყვილია და მემს მთვარე უნდა, სულელ ქმარს ჭკვიანი ცოლი“ (იქვე);
- (13) და კაი სიჯა გიყოონტასინონ, და კაი ეშელია. „ან კარგი სიძე უნდა გყავდეს, ან კარგი ვირიო“ (იქვე).
- (14) ნანაშანტეში გიყოონ-ნა, ბაბათი ბაბაშანტეში იყვენ. „დედინაცვალი თუ გყავს, მამაც მამინაცვალი იქნება“ (იქვე)².

სვანური:

- (15) ბაბაშ გუი ნიბაშინს ესერ ესსედა. „პაპის გული შვილიშვილს გაჰყოლიაო“ (დავითიანი, 1973);
- (16) დამბაღ მუემ გეზალი დამბაღ ესერ ლი. „დაბალი მამის შვილიც დაბალიაო“ (იქვე);
- (17) დი გეზლიშ ბედი ლემასგუ ესერ ჟი ესჩიდი ე, გუი დემის ხეზი. „დედა შვილისათვის ცეცხლში რომ დაიწვას, გული არ გაუძღებაო“ (იქვე);
- (18) მუხუბე მუხუბემ ესერ ლაჭედ შიყ კი. „ძმა ძმის საყრდენი ზურგიაო“ (იქვე);
- (19) ხოჩა თელღრა გიგას დინაგეზალდ ესერ ხესპი. „კარგი რძალი დედამთილს საკუთარი ქალიშვილივით შეუწყობსო“ (იქვე).

ქართველურ ენათა ანდაზებში ცალკე დიდ ჯგუფს ქმნის სამეურნეო საქმიანობის, შრომის პროცესების, სამუშაო იარაღებისა და, ზოგადად, გლეხის ყოფასთან დაკავშირებული თემატიკა. აგრეთვე, შინაური ცხოველებისა და ფრინველების, მცენარეების სახელები³ და ა.შ. მაგალითად:

² გასაკვირი არ არის, რომ ქართველურ ენათა ანდაზებში დედინაცვალი უარყოფითი ფიგურაა. ამ თვალსაზრისით, ანდაზა ეხმინება ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრს, მაგალითად, ზღაპარს.

³ ცხადია, დამრიგებლური შინაარსის მქონე ქართველურ ენათა ანდაზებში მოხსენიებული ცხოველებისა და ფრინველების, მცენარეების ნაცვლად, ალეგორიულად ხშირად ადამიანი იგულისხმება. ამასთან, მათ დასახელებას დიდაქტიური ხასიათის პარემიებში მხატვრული დატვირთვაც აქვს, რადგან ამ გზით კონტექსტი მეტაფორულია, იგავურია და აზრიც უფრო განზოგადებული ხდება.

ქართული:

- (20) შენ რას იკვები, მამულო, ყანა ამინდის შვილიაო (ჯორჯანელი, 2003);
- (21) მუშა კაცის სასჯელი უქმად ყოფნა არისო (იქვე);
- (22) კარგი მეურნე მარხილს ზაფხულში გააკეთებს და ურემს კი ზამთარშიო (იქვე);
- (23) მეზობელს მეზობლის ქათამი აქლემი ეგონაო (იქვე);
- (24) ვისაც სიმინდი უყვარს, თოხიც უყვარდესო (იქვე);
- (25) ერთი ხისგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო (იქვე);
- (26) თავს უთქვამს: ყანას ისე ვერ მომკით, ჩემი სამყოფი აღარ დაგრჩეთო (იქვე).

მეგრული:

- (27) ბერგი დიხას ვადაჩირთენია (ვეფოჩირთუნია) (შეროზია & მემიშიში, 1994). „თოხი მიწას არ დასცილდებაო (აცდებაო)“;
- (28) ბრიგადირი ღო გუგული ართი რენია – ჟირხოლო მხვას მუშაობას უძახენია „ბრიგადირი და გუგული ერთი არისო – ორივე სხვას მუშაობისკენ უძახისო“ (იქვე);
- (29) ბულიშა სხული ვეგიჟონუნია „ბალზე მსხალი არ დაიმცნობაო“ (იქვე);
- (30) გირინიში ნახადი ცხენქ ოჭკომუა „ვირის ნაშრომი ცხენმა შეჭამაო“ (იქვე);
- (31) ღუ ინაჯინალო ვერგ, ვარა გური ჯგირი უღუნია „ბუ შესახედავად არ ვარგა, თორემ გული კეთილი აქვსო“ (იქვე).

ლაზური:

- (32) ბაშქაში ბერგიტენ ყონა ვარ იხაჩქენ. „სხვისი თოხით ყანა არ მოიხვნება, არ დაითესება“ (შეროზია & მემიშიში, 1994);
- (33) ფუჯიქ ყონა ძირუ ღო ღობერი ვარ ძირუ. „ძროხამ ყანა ნახა და ღობე კი – ვერაო“ (იქვე);
- (33) ეშელის ფალანი მუში მონკა ვარ აყვენ. „ვირს თავისი უნაგირი არ დაამძიმებს“ (იქვე);
- (34) ზდეი წკარიტენ ქარმატექ ვა მქუმს. „მოზიდული წყლით წისქვილი არ ფქვავს“ (იქვე);
- (35) იხიქ მეჩხომეს ნა უნონსთერი ვა ბარს. „ქარი, როგორც მეთევზეს უნდა, ისე არ დაუბერავს“ (იქვე);
- (36) უსთას ოხორი ვარ უღუნ. „ხუროს სახლი არა აქვს“ (იქვე).

სვანური:

- (37) აშუ ლადლიმ სგებნაჟ ნაჯანჟ აშუ ნაგზომჟ სგებინჩუ ესერ ითი. „ერთი ღლით ადრე მოხნული ერთი კვირით ადრე მოიმკებაო“ (დავითიანი, 1973);
- (38) კეცნემ ნამატიჩინ ჭემინს ესერ ლახმდეხა. „პურს გაქცეული ქერს მიაკვდაო“ (იქვე);
- (39) მეღგარი ჩაჟჟ მერ ესერ ხეჭჟადი. „მომაკვდავ ცხენს ბუზი ესევაო“ (იქვე);
- (40) მიჩ' ადგიჟი ბერგიმ ნამჯიჩჟ ესერი ხოჩა ღი. „თავის ადგილზე გაცვეთილი თოხიც კარგიაო“ (იქვე);
- (41) ფედლიმ დაბ ლამშჟმ ესერ სეუდგგარ ხოჩა ღი. „ახლო ყანა მონატრებული მუშაობის მოსაკლავადაც კარგიაო (იქვე).

როგორც არსებული ემპირიული მასალის ანალიზმა აჩვენა, ქართველურ ენათა ანდაზები საკმაოდ მდიდარი თემატიკის შემცველია და იგი გლეხის ყოფა-ცხოვრების, მისი ყოველდღიური საქმიანობის ასახვის გზით გადმოსცემს იმ ზოგად სიბრძნეს, რომელიც ნებისმიერი ადამიანისთვის მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. მართალია, ნაშრომში გამოყოფილი ჯგუფები, უმრავლეს შემთხვევაში, ოთხივე ქართველური ენის ანდაზურ ფონდში მოიპოვება, თუმცა მონათესავე ენათა ოჯახის ფარგლებშიც შეიძლება გამოჩნდეს თემატურ-მინაარსობრივად განხვავებული, საკუთ-

რივ ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის საქმიანობითა და გეოგრაფიული გარემოთი მარკირებული პარემიული ერთეულები. ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია მეგრულში, ლაზურსა და სვანურში დადასტურებული ის ანდაზები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, რომ მათში შემავალი ლექსიკური ერთეულების მიხედვით უშუალოდ ამ კუთხეების კუთვნილებაა.

მეგრული:

- (42) გიორგი ცხონდია – ირკოჩიში მორდია. „გიორგი ცხონდია – ყველას („ყველა კაცის“) ნათლია (შეროზია & მემიშიძე, 1994);
- (43) დადიანე ყაზახის – ომეში ღულა გაფუნია დო – ხოჯი ოგაფუა. „დადიანმა გლესს – უღვაში სწორად არა გაქვსო („მოდუნული გაქვსო“) და – ხარი გადაახდევინაო“ (იქვე);
- (44) სონი ჩიქახე, სო მიმახე. „სადაური ჩიქავას ასული სად ჩამჯდარაო“ (იქვე)⁴;
- (45) უჭირო საჭირო ჩანგელიამ კარსია. „უჭირო [გაუჭირვებელი/დაუგეგმავი]⁵ გაჭირვება ჩანგელიას კარზეო“ (იქვე)⁶;
- (46) უტუში ნინა მუში ნაჭკადაში უჯგუშო ჭკირუნცია. „უტუს ენა მის ნაჭელზე უფრო კარგად სჭრისო“ (იქვე)⁷;
- (47) ჭილაიამ ხოჯი ეკოხონს ხონუნსია. „ჭილაიას ხარი აღმართში ხნავსო“ (იქვე).

ლაზური:

- (48) აჯარალიქ დადიკელე იწკენ, ლაზიქ მზოდაკელე. „აჭარელი ტყისკენ იყურება, ლაზი ზღვისკენ“ (შეროზია & მემიშიძე, 1994);
- (49) ზუდაკალა ნა სქიდუნს ომჩვირუთი აჩქინენ. „ზღვასთან მცხოვრებს ცურვაც ევოდინება“ (იქვე);
- (50) წყარიმ მომაღერი წყარიქ ნიმერს. „წყლის მოტანილს წყალი წაიღებს“ (იქვე)⁸;
- (51) პოლის ჯუმორი დვაბერენან დო ნჩხალას ხარჯი იკვანტერენან. „სტამბოლში ძმარი დაედვარათ და ჩხალაში ხარჯს ითხოვდნენო“ (იქვე)⁹;
- (52) ხოფას ლაზი ღურუ, პოლის ბგარა დოდგეს. „ხოფაში ლაზი მოკვდა, სტამბოლში ტირილი გამართეს“ (იქვე);
- (53) მოლლა ცხენიშენ მელუ-ში: – ზათთან ცხენიშენ გეფტამინტუ-მა. „მოლა ცხენიდან რომ ჩამოვარდა – მაინც ცხენიდან უნდა ჩამოვსულიყავიო“ (იქვე)¹⁰.

სვანური:

- (54) აშუ ლეთ ხანსარჟი ესერი ლაღეთი ღი. „ერთი ღამე მყინვარზეც გაითენებო“ (დავითიანი, 1973)¹¹;

⁴ ვარიანტი: სონი ჩიქახე, სო მიმახე. „სადაური ჩიქიას ასული სად ჩამჯდარაო“ (ხალხ. სიტყვ. II, 1991). მსგავსი შინაარსის მატარებელია შემდეგი ანდაზაც: ახალაიქ პატარაიას მიმასხაპუა. „ახალაი პატარაიას ცეკვაში ჩაერიო“ (შეროზია & მემიშიძე, 1994), ან: ახალაიამ ჯოდორი გომუას ჯოდორენს მიშალაღანდუა. „ახალაიას ძადლი გომუას ძადლებთან ყველაო“ (იქვე).

⁵ კვადრატულ ფრჩხილებში მოცემული ლექსემები ჩართულია სტატიის ავტორის მიერ.

⁶ ანდაზის შინაარსი კრებულში ამგვარადაა ახსნილი: „გლესმა ჩანგელიამ ენგურის ნაპირას ორაგული იპოვა და დადიანს მიართვა. დადიანი გაუჯავრდა, – აქამდე რატომ არ მოგქონდა ასეთი საჩუქარიო და ბეგრად დაადო ყოველ წელს ორაგულის მოტანა“ (შეროზია & მემიშიძე, 1994).

⁷ ქართული ხალხური სიტყვიერების II ტომში (მეგრული ტექსტები) აღნიშნული ანდაზის ქვეშ ასეთი განმარტება გვხვდება: „პროფესიით მჭედელი უტუ მიქავა, სამეგრელოს გლესთა 1858 წლის მეთაური, ცნობილი იყო ორატორული ნიჭითაც“ (ხალხ. სიტყვ. II, 1991).

⁸ შდრ. ქართული ანდაზა: „ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო“.

⁹ შდრ. ქართული ანდაზა: ერთი კაცი გორში გაღახეს და გული ცხინვალში მოუვიდაო (ჯორჯანელი, 2003); მეგრული ანდაზა: ხორგას კოჩი გოღახეს დო ხეთას გურქ მურთუა. „ხორგაში კაცი გაღახეს და ხეთაში გული მოუვიდაო“ (შეროზია & მემიშიძე, 1994).

¹⁰ შდრ. ქართული ანდაზა: „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“.

¹¹ შდრ. ქართული ანდაზა: „ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო“.

- (55) ბაჩუ ბაჩუჩი ლღვს მურყუამ ესერ ახფასა. „ქვა ქვაზე დადებული კოშკი გამოსულაო“ (იქვე);
- (56) იჭალადედ ხუნ ესერ ლახმელ ი ზეგირ ჩუბეჯუჭ. „ოდიდანვე საძირკველი ლახამულა, სახურავი ჩუბეხევიო“ (იქვე);
- (57) მამანდრე გადან მეზგალისგა ზისხ ესერ ლი. „ყველაზე უარესი ვალი ოჯახისათვის სისხლიაო“ (იქვე)¹²;
- (58) ნაბაჩუ ი ნაჰაიმდ მჰიდს ესერ უმხუარ ხამშერალახ. „ბეჩოში ნამყოფი და ხაიში ნამყოფი შიმშილს ერთმანეთს შესჩიოდნენო“ (იქვე)¹³;
- (59) ღერჭალე ჰენის ესერ ესფეშუდა ი გადრანწრს კაცხთე ხაწრალა. „ვიდაც ჰენის ღელეში დაცემულა და გადრანების გვარს სოფ. კაცხამდე აგინებდაო“ (იქვე).

მოყვანილი მაგალითებიდანაც ნათელია, რომ ანდაზებში ცალკეული კუთხისათვის დამახასიათებელი ყოფითი რეალიების ლექსიკური აქტივიზაცია ხდება, როგორებიცაა, მაგალითად, ლაზურში ზღვა და წყალი, მეთევზეობა, თურქული წარმომავლობის ადამიანთა სახელები, ტოპონიმები, აღმოსავლურ სამყაროში გავრცელებული ლექსიკა და ა.შ., ხოლო მეგრულსა და სვანურში – აგრეთვე ანთროპონიმებით, სხვადასხვა ლოკალური ისტორიულ-გეოგრაფიული მახასიათებლებით ნიშანდებული ანდაზები. ეს ყველაფერი განაპირობებს პარემიული ერთეულების ამა თუ იმ კუთხისთვის მიკუთვნებულობას, თუმცა, ამასთანავე, ანდაზა არ კარგავს განზოგადებულ ხასიათს და გადმოგვცემს იმგვარ სიბრძნეს, რომელიც ყველგან და ყველასთვის გამოსადეგია. ამრიგად, ეს ის შემთხვევებია, როდესაც პარემიებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური მორალი და შეგონება ლოკალური ნიშნით არის შეფერილი. შესაბამისად, მიუხედავად ცალკეული ლექსიკური ერთეულების მონაცვლეობისა, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების საერთო შინაარსი და მორალი საერთოქართველურ ჩარჩოში განიხილება და ყველასთვის გასაგებია¹⁴.

ცალკეა განსახილველი იმგვარი შემთხვევები, როდესაც აუცილებელი ხდება პარემიებში დადასტურებული, ყოველდღიურ მეტყველებაში პასიური გამოყენების მქონე არქაიზმების, დიალექტიზმებისა და სხვა ლექსიკური ერთეულების განმარტება, რათა ანდაზის შინაარსი გასაგები იყოს¹⁵:

- (60) ერთი კოჭობი¹⁶ კუპრი ყოველ ოჯახში დუღსო [http://idioms.tsu.ge/?p=1307];
- (61) ჰამქარი¹⁷ ჰამქარს შორიდანვე იცნობსო [http://idioms.tsu.ge/?p=11118];
- (62) ხარაზი რომ ხაბაზობას დაიწყებს, პური კუტი¹⁸ გამოვამო [http://idioms.tsu.ge/?p=8641];
- (63) როგორიც ალაგიო, ისეთი ალაბიო¹⁹ [http://idioms.tsu.ge/?p=11509];
- (64) შუბი ხალთაში²⁰ არ დაიმალებაო [http://idioms.tsu.ge/?p=8548];
- (65) ცეცხლის პატარა ნაპერწკალი დიდ ხორას²¹ გადასწვავსო [http://idioms.tsu.ge/?p=14887];
- (66) რაც არ ექნეს მამაშენსა, ნურც შენ დახევე მარმაშებსა²² [http://idioms.tsu.ge/?p=11495];

¹² ჩვენი დაკვირვებით, ანდაზა ეხმიანება სისხლის ადების ტრადიციას, რომელიც ძველად სვანეთშიც იყო გავრცელებული. შდრ. აგრეთვე: მარემ დაგრადა ჰედ ესერ ლიწური ლი წეს, მოლდე წორ. „კაცის სიკვდილისათვის ან სისხლის ადება არის წესი, ან საზღაურიო“ (დავითიანი, 1973).

¹³ ბეჩო და ხაიში ტოპონიმებია სვანეთში.

¹⁴ მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში საჭიროებს ანდაზა დამატებით შედარებით ვრცელ ახსნა-განმარტებასა და ისტორიულ რაკურსში მსჯელობას (მაგალითისათვის იხ. (45), (46) ანდაზები).

¹⁵ ქვემოთ მოცემული იმ სიტყვათა განმარტებები, რომლებზეც მითითებულია „ქველ“-ი, მოყვანილია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონული ვერსიიდან (განთავსებულია შემდეგ მისამართზე: www.ena.ge).

¹⁶ კოჭობი – პატარა ქოთანი [ქველ-ი].

¹⁷ ჰამქარი/ამქარი – ერთი ხელობის ოსტატ-ხელოსანთა და ვაჭართა გაერთიანება, ამხანაგობა [ქველ-ი].

¹⁸ კუტი – თონეში ჩავარდნილი (და ნაკვერცხლებზე გამომცხვარი) პური [ქველ-ი].

¹⁹ ალაბი – იგივეა, რაც ალლი [ქველ-ი].

²⁰ ხალთა – ტყავის ტომარა, გუდა [ქველ-ი].

²¹ ხორა – ერთად დაწყობილი შეშა, საშენი მასალა და მისთ. [ქველ-ი].

²² მარმამი – თხელი, გამჭვირვალე ქსოვილი [ქველ-ი].

(67) რწყილს ტყავს გახდის, რუმბად²³ იხმარსო [http://idioms.tsu.ge/?p=11525];

(68) დაადარე მსხალი პანტას, მალაჩინი²⁴ – მაჟალოსა²⁵ [http://idioms.tsu.ge/?p=11211].

ამდენად, ქართველურ ენათა ანდაზების ლექსიკურ-თემატურ მახასიათებლებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა პარემიებში ასახული უნივერსალური თემატიკის (ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა, გეოგრაფიული თუ სხვა სახის საკუთარი სახელები, ცხოველების, მცენარეთა და წარმომავლობის სახელები და ა.შ.) გვერდით გამოიყოს საკუთრივ ერთ, რომელიმე ენობრივ კოლექტივში გავრცელებული, ადგილობრივი ყოფისთვის დამახასიათებელი, რაიმე ნიშნით გამორჩეული ანდაზები, რომელთა შინაარსის გაგება (მიუხედავად მათში გადმოცემული სიბრძნის უნივერსალურობისა) ზოგჯერ დამატებით მსჯელობას ითხოვს (იხ. ანდაზები (45), (46)). დამატებითი განმარტება საჭიროა მაშინაც, როდესაც მასში შემავალი რომელიმე ლექსიკური ერთეული არქაიზმია ან მივიწყებული დიალექტიზმი. განმარტებათა საჭიროებას პრაქტიკული დანიშნულება აქვს და გასათვალისწინებელია ანდაზების კრებულის გამოცემისას.

გამოყენებული ლიტერატურა

დავითიანი, ა. (1973). სვანური ანდაზები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ლეჟავა, ლ. (1959). ქართული ანდაზების ენა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, გვ. 139-264, თბილისი.

ნეიმანი, ა. (1978). ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

შეროზია რ., მემიშიძე ო. (1994). მეგრული და ლაზური ანდაზები, გამომცემლობა „მსგეფსი“, თბილისი.

ხალხ. სიტყვ. II (1991). ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები) II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კორნელი დანელიამ და აპოლონ ცანავამ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ჯორჯანელი, ლ. (2003). რჩეული ქართული ანდაზები, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

http://idioms.tsu.ge/ (ბოლო წვდომა: 20.10.2020).

www.ena.ge (ბოლო წვდომა: 20.10.2020).

²³ რუმბი – ძროხის, მოზერის ან კამეჩის ტყავის დიდი ტიკი [ქეგლ-ი].

²⁴ მალაჩინი – კომში, ბია (ნეიმანი, 1978).

²⁵ მაჟალო – [Malus orientalis] საშუალო ან მაღალი ტანის ხე; აქვს მთლიანი ფოთლები და მოთეთრო ან მოვარდისფრო ყვავილები; ისხამს პატარა ზომის მომჟავო ნაყოფს, – ტყის ვაშლი [ქეგლ-ი].